

ინსტრუქცია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის

I. დეფინიცია

- 1.1. სამაგისტრო ნაშრომი არის წერიტი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს და დაიცვას საატესტაციო საბჭოს ღია სხდომაზე.
- 1.2. ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონისა და მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
- 1.3. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობა უნივერსიტეტში მოქმედი ზოგადი შეფასების კრიტერიუმებს, თუმცა, პროგრამების კომიტეტებს შეუძლიათ განსაზღვრონ დამატებითი კრიტერიუმები.
- 1.4. სამაგისტრო ნაშრომი, შეფასების საერთო სისტემაში, განისაზღვრება დამოუკიდებელი პროცენტული წილით, ხოლო დაცვის შედეგად მიღებული შეფასება – აღნიშნება დიპლომის დანართში.

II. ნაშრომის ხელმძღვანელი

- 2.1. ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი აკადემიური პერსონალიდან.
- 2.2. ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა:
 - დაეხმაროს სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში დაეხმაროს ავტორს მის კორექციაში.
 - ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს დასკვნა (არანაკლებ ორ გვერდზე), რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) ნაშრომის დასათაურებას;
 - ბ) ავტორის ვინაობას;
 - გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
 - დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;
 - ე) ავტორის შრომისუნარიანობისა და სხვა უნარ-თვისებების ხარისხის აღნიშვნას;
 - ვ) ნაშრომის ზოგად შეფასებას (და არა ნიშნით);
 - ზ) პირად დასკვნა-რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად.
 - დასკვნა წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ორ გვერდზე, 4 ფორმატით, სრული აბზაცებით – თითო სტრიქონის დაშორებით, ”ცად უსს” შრიფტით, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14, ძირითადი ტექსტისა – 12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2სმ.
 - ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე როგორც მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს დეკანს, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მუშაობის დაწყებიდან.

III. რეცენზენტი

- 3.1. სამაგისტრო ნაშრომს ენიშნება რეცენზენტი, რაზეც ფორმდება დეკანის განკარგულება.
- 3.2. რეცენზენტს არჩევს ნაშრომის ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ისე გარეშე პირი. რეცენზენტად შეიძლება შერჩეულ იქნას მხოლოდ მეცნიერების დოქტორი ან დოქტორანტი.
- 3.3. რეცენზენტის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის აუცილებელი, თუმცა საბჭოს ან მაგისტრანტს შეუძლია მისი მოწვევა, ისე როგორც რეცენზენტს შეუძლია მოითხოვოს სხდომაზე დასწრება.
- 3.4. რეცენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ორ გვერდზე, 4 ფორმატით, სრული აბზაცებით – თითო სტრიქონის დაშორებით, "ცად უსხ" შრიფტით, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14, ძირითადი ტექსტისა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2სმ.
- 3.5. რეცენზია, არანაკლებ ორი გვერდისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) ნაშრომის დასათაურებას;
 - ბ) ავტორის ვინაობას;
 - გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
 - დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;
 - ე) ნაშრომის ზოგად შეფასებას (და არა ნიშნით);
 - ვ) პირად დასკვნას სამაგისტრო ხარისხის მინიჭება-არმინიჭების შესახებ.

IV. პროცედურა

- 4.1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პერიოდი მოიცავს სამ თვეს – საგაზაფხულო სემესტრის დაწყებიდან მაისის შესაბამის პერიოდად.
- 4.2. იანვარ – თებერვალში, საგაზაფხულო სემესტრის დაწყებამდე, სტუდენტებმა უნდა აირჩიონ ხელმძღვანელები, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ ფაკულტეტის დეკანს. ხელმძღვანელების თანხმობის შემთხვევაში დეკანი გამოსცემს შესაბამის განკარგულებას.
- 4.3. ამავე პერიოდში უნდა შეირჩეს სამაგისტრო თემები და დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.
- 4.4. მაისის ბოლო ორ კვირაში პროგრამის კომიტეტი განიხილავს წარდგენილ ნაშრომებს. დადებითი დასკვნის შემთხვევაში ავტორებს ეძლევათ რეკომენდაცია საჯარო დაცვისთვის.
- 4.5. ნაშრომის წარმოდგენის კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს დეკანატი. შეფერხების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ოფიციალურად მიმართოს დეკანატს დასაბუთებული განცხადებით ნაშრომის წარდგენის გადავადების შესახებ. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დეკანატი.

V. ზოგადი მოთხოვნები

- 5.1. ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:
 - ა) სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს 4 ზომის 80 გვერდზე ნაკლები, შრიფტი – "ცად უსხ", ზომა - 12, სათაურებისა და ქვესათაურების

ზომა - 14-16, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2სმ.

ბ) აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო სტრიქონის გამოტოვებით, ამასთან, პირველის სრულად წარმოდგენით.

გ) სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

- **თავფურცელი** - სამაგისტრო ნაშრომის პირველი გვერდი (იხ. დანართი);
- **ანოტაცია** - არაუმეტეს ერთ გვერდზე – უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობას, მიზნებსა და დასკვნებს;
- **შესავალი** – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს დამუშავებული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანა (ამო-ცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები (ექსპერიმენტული კვლევის შემთხვევაში);
- **ტექსტის ძირითადი ნაწილი** – შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფებად;
- **დასკვნა** - უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის შედეგებს;

ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. თავფურცელი
2. ანოტაცია
3. სარჩევი
4. შესავალი
5. თავები
6. დასკვნა
7. გამოყენებული ლიტერატურა
8. დანართები

- **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა** - წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს:

პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- წელი
- ნაშრომის სახელწოდება
- სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- ტომის ნომერი
- გამოცემის ნომერი
- გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი

მაგ.: შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. *კავკასია*, 15 (21), 12-15.
შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. *კავკასია*, იანვარი, 12-15.

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- გამოცემის წელი
- სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ადგილი
- გამომცემლობა

მაგ.: შენგელია გ. 2003. *საქართველოს ისტორია*. თბილისი: განათლება.

ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:

- მასალის ავტორი
- ვებ-გვერდის ავტორი
- მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: ბრაუნი ტ. ბრიტანეთის სამართლის საფუძვლები. ზოგადი განათლება. VVV . . .

(15.02.2005).

ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:

- სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები)
- წელი
- სტატიის დასახელება
- ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ნომერი
- თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში)
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: კოილი მ. 2003. თავისუფლების აქტის *ვეროპის ფორუმი* 3 (5). VVV . . . (15.06.2003).

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- ქვეყნის დასახელება
- უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი
- წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი
- დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი...)
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით
- ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი
- გამოცემის დასახელება, რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი

მაგ.: საქართველო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2005. მინისტრის ბრძანება: ცვლილებების შესახებ (639, 5.09.2005). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე №115.

- დ) ტექსტში, გამოყენებული ლიტერატურა, უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (15, 150-161).
- ე) საბჭოს უნდა წარედგინოს სამაგისტრო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი.
- ვ) ნაშრომის დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება არაუმეტეს 15 წუთით.
- ზ) დაცვის პროცესში სტუდენტს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება.

- თ) დაცვის წარმატებლად დამთავრების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია, როგორც ახალი თემის შერჩევა და ხელმძღვანელის შეცვლა, ისე იმავე თემაზე მუშაობის გაგრძელება. მომდევნო წელს სტუდენტი ანალოგიური პროცედურით წარმოად-გენს ნაშრომს.
- ი) ფაკულტეტს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ეგზემპლარი და ნაშრომის ელექტრონული ვერსია ბიბლიოთეკაში არქივირების მიზნით.

ბრიტოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი

----- სკოლის,
----- სპეციალობის
II დონის სტუდენტი

სახელი გვარი

თემის დასახელება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: -----

თბილისი
2010

ინსტრუქცია

სამაგისტრო ნაშრომის თავფურცელის შედგენის შესახებ

- უნივერსიტეტის დასახელების ფონტი (AcadMtavr), **Bold**
- უნივერსიტეტის დასახელების ფონტის ზომა (18)
- ფაკულტეტისა და სპეციალობის დასახელებისა და დონის ფონტი (AcadNusx)
- ფაკულტეტისა და სპეციალობის დასახელებისა და დონის ფონტის ზომა (14)
- სტუდენტის სახელისა და გვარის ფონტი (AcadMtavr)
- სტუდენტის სახელისა და გვარის ფონტის ზომა (18)
- საკვალიფიკაციო ნაშრომის სათაურის ფონტი (AcadMtavr), **Bold**
- საკვალიფიკაციო ნაშრომის სათაურის ფონტის ზომა (18)
- სხვა ინფორმაციის ფონტი (AcadNusx)
- სხვა ინფორმაციის ფონტის ზომა (12)
- სტრიქონებს შორის მანძილი (1,5)
- აბზაცებს შორის მანძილი (ოთხი სტრიქონის გამოტოვებით)